# გუთნის-დედა,

მამულის-მოვლისათვის.

ფული მოსწერდეს ტფილისში. ი. კერესელიძის სტამბაში. კუკიას, საკუთარს სახლში.

გამოიცემა ორკვირაში ერთხელ. ფასი ერთის წლის გამოცემისა ვინც «ცისკარზედ» ხელს აწერს ერთი მანეთი, რომელიც არ აწერს ორი მანეთი.

«ცისკარზედ» დამატება.

ნ. 2




## აბრეშუმის გამოსახუევის ქარხანა უფალის გოსტრაზერისა და კომპ. ორპირში,

როდესაც ერთს მხარეზედ სადმე აღმოჩნდება და იწყობა აბრეშუმის შემუშავება, როდესაც ეს არის იმ მხარეზედ ერთი უმთავრესთა შტოთაგანი ხელოსნობისა, ამ დროს ყოველი ნაბიჯი წარმატების გზაზედ უნდა განაღჳმებდეს და მიაქცევდეს ყოველთა ყურადღებას, როგორათაც გამოცდილი ხელთმძღუანელობა, რომელიც მსახურებს განმამხნებელ მაგალითად ახალთა დაწყობათათჳს, რომელნიც იმედი გვაქუს, ჩქარად აღმოსჩნდებიან და იმათ გამოჩენას ყოველნი სიამოვნებით მიიღებენ.

ამ ახლოს დროებში ორპირში უფალმან გოსტრაზერმან გააღო აბრეშუმის გამოსახუევი ქარხანა, რომელიც იქნება ჩუენთჳს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანუგეშო მაგალითად. ამის მდგომარეობა, ვრაცხთ სასიამოვნო ვალად ჩუენდა, რომ ვაცნობოთ ჩუენის «გუთნის დედის» მკითხუელთა.

ფაბრიკა (ქარხანა) უფალის კოსტრაზერისა და კომპ. ორპირში ყოვლის სახელოსნოს საქმით, თუ იარაღებით და გამკებლობით, ისრეთს სისრულეში და კეთილ-დაწყობილობაში არის მოყუანილი, რომ მრთელს კავკასიის აქეთ მხარეს ეს არის ერთი სანუგეშოს სახელოსნო.

ამ ფაბრიკის შენობა არის ფიცრისა და მსგავსი დიდის და სუფთა ხარაისა, როგორიცა საჭირო არის აბრეშუმის გამოსახუევის სადგომისათჳს; ეს ხარაია არის ხალვათი, აქ არაოდეს არ შეაწუხებს კაცს მკუდართ მატლთა სუნი და სიცხე ქუაბებისა, ეს არის შენობა სინათლიანი, ასრე რომ ღრუბლიან დღეებშიაც მუშებს შეუძლიანთ კარგად დაინახონ და გაარჩიონ ძლიერ წმინდა აბრეშუმის ძაფები, ჰაერიც ადჳლად და თავისუფლად ბრუნავს აქა, და აშრობს სველს აბრეშუმს. ასრე, რომ არც მუშებს მოსუდებათ ქარი და არც თუ აბრეშუმს წჳმა. მაშინების გამართულობა და მოქმედება არის ამ სახით: 1 პარავოი მაშინა (ორთქლის სამუშავებელი მაშინა), რომელიც შაერთებულია ორსავ მხარეს გამოსახუევს ჩარხებზედა; 2, ოცდათორმეტი გამოსახუევი ჩარხი ანუ ტარაბო; 3, ამოდენივე რიცხჳ გამოსახუევისათჳს ტაშტები, ყოველი ტაშტი არის თჳთოს ტარაბოსათჳს და 4 ორი გასახურებელი ქუაბები, პარავოის მაშინიდგან მოძრაობა გადადის ტარაბოების წინა შენობასთან ძლიერ გაწყობით და თანასწორის ზომით. თასმებით, რომელიც არის ძლიერ საჭირო კარგის გამოსახუევისათჳს. ტარაბოები არის საზოგადო იტალიური და ნაკეთობა მეტალლისა, სუფთად გაკეთებულები და სწორედ დაყენებულები. ძლიერ ადვილად და ჩქარად შეიძლება ამოღება ყოვლის თჳთოს ტარაბოსი თავისის საერთოს მოძრავის შენობითურთ. გამოსახუევი ტაშტები დაწყობილია თჳთო თჳთოს ტარაბოს წინ ისრე დაშორებითა, რომ მუშებმა შეიძლონ მათ შუა ადჳლად მიბრუნ-მობრუნება; ყოველს თჳთოს ტაშტსა აქუს სამი მილი ერთი ცხელის წყალის მისაშუებათ, მეორე ცივის წყლისა და მესამე მღვრივე წყლის გამოსაშუებათ. თჳთოს რიგობის ტაშტების შუა დგას რკინის ქუაბი, რომელსაც ასურებენ, ამ ქუაბში დგას ადუღებული წყალი, რომელიცა იმ დრომდისინ უნდა დარჩეს მანამდისინ გამოახუევენ. ქუაბის სახურავი არის ჩაღრმავებული ტაშტის მსგავსათ და ამასაც ძირი გახურეტილი აქუს, ასრე რომ აქედგან ადუღებული წყალი ამოდის და ამსებს ტაშტს ნასუვრამდინ. ამ ქუაბიდგან გადადის

ცხელი წყალი ყაველს გამოსახჳევს ტაშტე-ბში. ქარხანის ბანზედ, გაკეთებულია ერთი ჰაუზი სავსე ცივის წყლით, როგორათაც ფაბრიკაში მყოფნი გვარწმუნებენ, ვითომც ეს იმისთჳს არის, რომ აქ უფრო უკეთესად დაწმდება წყალი. ამ ფაბრიკაში სახმარს წყალს ჯერ სამს დღეს შეინახჳენ, რომ დაწმდეს და მერე იხმარებენ. ბანზედ გაკეთებულის ჰაუზიდგან გატანილია ცივი წყალი მილებით როგორათაც პარავოის მაშინასთან, აგრეთჳე ქჳაბებთან და დაშტებთან.

აბრეშუმს ახჳევენ ამ სახით; გამოცდილი მუშა ქალი აიღებს ორმოცდაათს აბრეშუმის პარკს, ჩაჭყრის ადუღებულს წყალში გასახურებელის ქჳაბის ტაშტისა, ძლიერ წმინდა ტოტებიანის ცოცხით ურევს და თანაც არტყამს პარკებს და ნიადაგ ჩაჭყლავს წყალში, იმ დრომდის, მანამდისინ გამოჩნდება აბრეშუმის ბუსუსი და მიეკჳრის ცოცხზედ, ცხელი წყალი დაალბობს და გაშლის აბრეშუმის მაფს, რომელიც პარკებში მდგომარეობს, ბუსუსის წჳერები, რომ მოშორდება პარკებს, ადჳლად მიეკჳრება ცოცხის წმინდა წჳერებსა, მუშა ქალი რომ ნახავს ამას მაშინათვე წაავლებს ჴელს და გამოსწევს მაფებს, ცოცხსკი გადასდებს გვერდზედ, შემდგომს როდესაც გარეგანი მომხო ნაწილი აბრეშუმისა ესე, იგი სარბანდი (*) სრულად გამოისჳევა პარკებიდგან და მერე გამოსჩნდებიან სუფთა და წმინდა მაფები, მაშინ ამ მომზადებულს პარკებს ამოიღებს წყლიდგან დასჳრეტილის ბრტყელის კოვზით ანუ პატარა ნიჩბით და მისცემს სხჳა ქალებს, ამის შემდეგ კიდევ დაიწყობს იმავ სახით მუშაობას. ერთი დაკელოვნებული მუშა ქალი მოამზადებს პარკებს თექჳსმეტ ტარაბოსათჳს.

ამ სახით მომზადებულს პარკებს ჩააწყობენ გამოსახჳევს ტაშტში, რომელშიაც არის ცხელი წყალი **05**-დგან **40** გრადუსამდინ რეომიურისა (*) (*) პარკების თჳსების მიხედჳთ. მუშა ქალი გამოიღებს იმდენს ცალ-ცალს პარკების წმინდა მაფსა რაოდენიც საჭიროა გასასყიდის მაფის სისხოსათჳს, ამ მაფებს შეუგრეხავს წჳერებს ერთად, გაუყრის ტაშტზედ მიბმულს რკინის მავთულის კუნწში, მერე მისკენ მიმართულის ხის კუნწში და დასასრულს მიაბავს ტარაბოზედ. ამ სახითვე მოამზადებს ის მეორეს მაფს, იმოდენის პარკებიდგან, რაოდენიც მოუნდა პირჳელს მაფსა, გაუყრის მას მეორეს მავთულის კუნწში, რომელიც დაშორებულია პირჳელისაგან ექჳსს

---

(*) ამ სახელად იწოდება პარკის გარეთი პირი, რომელსაც მერე დასწყწენ და დაართავენ, ამას არ გამოახჳევენ.

(*) (*) გრადუსი არის ზომა სითბოსი და სიცივის ზომიერების შესატყობი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიუმზედ (*) რამდენჯერმე შემოახჳევს პირჳელს მაფსა და მერე გაატარებს მეორეს კუნწში მისკე ნ მიმართულის სისა და მიაბავს ტარაბოზედ, რომელსაც გაუშჳებს ქელიდგან ამას აბრუნებს ნიადაგ მოძრავი ტარაბოების წინა შენობა, აბრეშუმის ბუსუსები ადჳლად მოშორდებიან ჰარკებს საკმაოდ გაცხელებულს წყალში; თუ რომ წყალი მომატებულად ცხელი არის, მაშინ ჰარკები წყლიდგან ამოიწევიან, და მაფები გასხვილდება და თანასწორის სიწმინდისაც არ იქნება, და თუ წყალი ცივია, მაშინ მაფები ძნელად იხჳევა და ადვილათ წყდება. ერთჯერად გამოსახჳევის ყველა ჰარკების მაფებს, როგორათაცა ვსთქჳთ, შეაერთებენ ორს მაფად მავთულის ორს კუნწებთან, ეს ორი მაფი გამოხჳევის დროს რამდენჯერმე ერთმანერთზედ გადახჳევით იხეხება, რომლის გამოთაც ბუსუსები, მათზედ დარჩენილის წებოიანის ნივთიერებით, ერთმანერთზედ მიეკჳრებიან და გაკეთდება ორი სუფთა და მტკიცე მაფი. მაფები გამოიხჳევიან **5**-დგან **15**-მდინ აბრეშუმის ჰარკების ბეწჳებისგან.

ყოველი თჳთო მუშა ქალი მოუვლის და ჰმართავს ორის მაფის გამოსჳევას; ქალი იმ მაფებზედ მიაბავს აბრეშუმის ასალის ჰარკების ბუსუსსა, როდესაც პირჳელი სრულად გამოეხჳევა, დანარჩენს გამოუსადეგს ჰარკებს გადაჰყრის და დიდის სიფრთხილით უნდა მოუვლიდეს და უყურებდეს, რომ რაოდენიც შეიძლება აბრეშუმი სუფთათ და თანასწორის სიწმინდით დაეხჳვოს, რადგანაც აბრეშუმის გამოუჳანილობაში უმთავრესი საქმე ეს არის, ამისათჳს რომ ამაზედ არის დამოკიდებული აბრეშუმის ფასი. დახელოვნებულს და სერხიანს გამომხჳევს ქალს შეუძლიან თჳსის სიცქჳტით და გულს მოდგინებითის გამოხჳევით აამაღლოს ფასი აბრეშუმისა **20** % (პროცენტამდინ) (*) საზოგადოს ფასზედ უმეტესად. **1** მუშა ქალების მრთელის დღის გამოხჳეულს აბრეშუმს გააშრობენ ჩრდილიანს ადგილს, დაჰკრესენ შულოებათ, შეჰკჳრენ როგორათაც წესია და მერე გაიგზავნება გასასყიდავათ. კარგი მუშა ქალი გამოახჳევს აბრეშუმს დღეში სამს ჩეტვერტს გირჳანქისას. **2** აბრეშუმის გამოხჳევა იქნება მხოლოდ ტფილს დროს, ესე იგი აპრილის თთჳდგან დაწყობილი გირგობის თთჳემდინ. ცივს დღეებში ორთქლი წყლისა შესქელდება ჰაერში და წმიდა ბუსუსები აბრეშუმისა აღარა ჩანს, გარდა ამისა გამოხჳეული აბრე-

(*) ექჳსი დიუმი არის ნახევარი ფუტი ანუ სამვერშოკნახევარზედ ცოტა ნაკლები, ერთი ფუტი არის **12** დიუმი, **7** ფუტი შეადგენს **3** არშინს ანუ ერთს საჟენს.

(*) ესე იგი, თუ რომ ფასობს ასათ—ასკოპეკათ ანუ ას შაურათ, მაშინ გახდება ასოცი კოპეიკი ანუ შაური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუმი მწვდიათა მრჩევა, ამ ფაბრიკაში მრთელს წელიწადს გამოიხვევა აბრეშუმი ათასიდგან ათას ხუთასს კილოგრამამდის (*) რომლისათჳსაც უნდა იხმარონ აბრეშუმის პარკები 1000 დგან 4500 კილოგრამამდის. დანარჩენს მსხვილს გამოუსადეგარს პარკებს შეჰკრებენ და გაჰყიდიან. მყიდველნიც ხმარობენ უმეტესად ჩაფარიშებისათჳს.

3. გოსშტრაზერის ფაბრიკაში აბრეშუმის გამოსახვევათ ხმარობენ მხოლოდ წმინდას ჯიშის პარკებს, უმეტესად იმერეთისას მეგრელიისას და გურიისას, როგორათაც გვარწმუნებს ამ ფაბრიკის პირველი კელოსანი უფ. ისიდორი. ეს პარკები თუმცა დაბალს ფასათ იყიდება მარსელში და ლიონში, სადაც კილოგრამი ამისი გაისყიდება 90-დგან 95 ფრანკამდის, (*) (*) მარამ ნუსის აბრეშუმზედ უფრო სუფთა და წმინდაა.—ამ ფაბრიკის პატრონი წუხს მაზედ, რომ ამ მხარის ხალხნი არა ცდილობენ აბრეშუმის გამრავლებას და პარკები შემოდის მრიელ ცოტა, ასრე, რომ ვერ შოულობს თვისის პატარას ქარხანისათჳს სამყოფს პარკებსა და იმისი ფაბრიკა რჩება ხოლმე უსაქმოდ.

ამ ფაბრიკის კელოსანი ამოარჩევს თავისის ქარხანისათჳს მუშებსა გარეშემოს სოფლების ქალებთაგან, რომელნიც იქნებიან ჰასაკით 15-წლიდგან 16-მდის; ამათ თავიანთის წვრილის, მშვენიერის და ნაზის თითებით უფრო უკეთესად შეუძლიანთ მოექცნენ აბრეშუმის ნაზსა და წმინდა პარკების ძაფებს, ვიდრე დედაკაცთა ანუ კაცთა; ის კელოსანი ანუ ოსტატი ასწავლის იმ ქალებს აბრეშუმის სუფთად გამოსვევას, და მლიერ სასტიკად ზედამხედველობა აქვს მათს მუშაობაზედ. რომელნიც კარგნი არიან, უფრო გასამხნევებელად, აძლევს მათ საჩუქარს და გადაასხდევინებს მათ, რომელნიც დაუდევნელად მუშაობენ. მუშა ქალთ ფასი ეძლევათ დღეში ხუთის შაურიდგან ორს აბაზამდის.

დასასრულს საჭიროთ ვრაცხთ მივაქციოთ ყურადღება თქვენი იმ სარგებლობაზედ, რომელსაც მოგვიტანს ჩვენ ეს ახალი ქარხანა. ეს ქარხანა სამი წელიწადი არის რაც მუშაობაშია.

მრთელს მეგრელიაში და იმერეთში გლეხნი მისდევენ აბრეშუმის შემუშავებას, ამ მშვენიერს ქარხანაში: ყმაწვილნი ქალნი, რომელნიც შედიან ამ ფაბრიკაში ფულის შეძინების გარდა, სწავლობენ აბრეშუმის წესიერს გამოხვევას და არ უტევებენ ამ ქარხანას იმ დრომდის, მანამ არ გათხოვდებიან, და შემდგომს მოაშენებენ თავიანთს საკუთარს სახლში და აგრეთვე ახვევენ აბრეშუმსაც: ცხადათა ჰსჩანს, რომ ამ ქა-

(*) ესე იგი 2509-დგან 3459 გირვანქამდის, ერთი კილოგრამი არის ორ გირვანქა ნახევარზედ ცოტა რამ ნაკლები.

(*) (*) ერთი ფრანკი არის 25 კოპ. თეთრი ფული.

ლებს ესმისთ და ხედვენ სრულს სარგებლობას კარგის გამოსვევისაგან, რასაკვირველია რომ თჳთონაც თავიანთს სახლებში იწყობენ მუშაობას და გამოიყვანენ თავიანთს შინაურს აბრეშუმს სხჳა გლეხების ქალებზედ უკეთესად და შემდეგ დროებით ეს მხარე თავისის აბრეშუმის უკეთეს მოყვანილობისათჳს მოვალე იქნება მადლობდეს ამ ფაბრიკის პატრონსა, მაგრამ ძლიერ ვსწუხვართ რომ ამ ფაბრიკას გარეშემო არა აქჳს თავისუფალი მიწა სამაგალითოს შენობისათჳს, ჭიის გამოზრდისათჳს და აგრეთვე პარკების უკეთესობაში მოყვანისათჳს.

ს. მ.... ი.

---

განცხადება.

გამგებლობამ სასოფლო მამულის მართჳსა და კელოსნობისამან წარსულს დეკემბერში გამოაცხადა, რომ თუ ვისმე მამულის მკეოებელსა ჰსურდეს გამოწერა ახალისა სახნავ-სათესის მაშინებისა და იარაღებისა, ან დარიგების მიღება ახლად შემოღებულის მცენარის მოყვანაზედ, ანუ აღხსნა რომლისამე მამულის კეთების შესახების კითხვსა, შეუძლიანთ ყოვლის ამ გჳარ საჭიროებაზედ შეიტანონ თხოვნა პირად თუ წერილით გამგებლობაში. მაგრამ, რადგანაც დარიგება ერთი ვისმესთჳს მიცემული, შესაძლოა რომ გამოადგეს სხჳასაცა, და რადგანაც ამ გჳარი კითხვების ახსნა იბეჭდება სხჳა ჟურნალებშიაცა, ამისათჳს, გამგებლობას ჰსურს, რომ მამულის პატრონებმა გამოგზავნონ «გუთნის-დედის» რედაქციაში, თავიანთი თხოვნა, რომელსაც გამგებლობა აღხსნის და თავის პასუხს დაჰბეჭდავს ამავე ჟურნალში.

---

ბუნება მკალიასი და ღონისძიება მისის გაწყვეტისა.

გუთნის-დედას თავის შრომის გზაზედ მრიელ ხშირათ აქჳს შემთხვევა, რათა ებრძოლოს სხჳა და სხჳა მტერთა და შეეყრება წინააღმდეგობასა, დაპყრობა რომელთაცა დააგჳრგჳნებს ამის შრომასა; მაგრამ ამ შემთხვევაში მარტოობითი ამისი მეცადინეობა არა კმარის და საჭირონი არიან შეკრებითნი და თანხმობითნი ძალ-დატანებით მოქმედებანი მთელისა საზოგადოებისა, კეთილ-სიამოვნებითი მოქმედება ბუნებისა და მონაწილეობა ცხოველთა, სასარგებლოთა კაცთასა.

სულ ყველა მტერთაგან მიწის მხვნელისათჳს, მკალია, უეჭველად ეკუთვნის საშიშთა და მომატებულთა შემხლველთა

ნაკლებლობისა. ეს ერთს წამს დაჰნთქამს დიდს სივრცელეს მოსავლისას, სათიბებსა და სამოვარსა, არ დაინდობს ბაღებს, ტყე-ებს და მცენარესა და ამ სახით მოაკლებს კაცსა და პირუტყვთა საზრდოსა, რომლი-საგანც წარმოჰსდგება საზოგადო შიმშილი და არა მჯრათ ამისაგამო დიდი მომაკუდინე-ობა. მართლად რომაელნი უწოდებდნენ მკალიას ღმერთების მათრახათ და ქრის-ტიანენი ღჳთის-სასჯელად! ბედნიერი არის ის მხარე, რომელსაც არ გამოუცდია რა არის მკალია, ანუ სადაც ხშირი არა ყო-ფილა ამისი მოსვლა.

მკალია ეკუთვნის სწორე ფრთიან მწე-რის კლასსა, რომელსაც ეკუთჳნიან აგრე-თვე ნათესავნი ტკიპისა, აბანოს ჭიისა, ჭრი-ჭინისა, კუტი კალიისა და სხჳა.

ხაკუთრად მკალიჲ, რომელიც დაჰნთქამს მიწის-მხვნელის შრომასა, არის სხჳა და სხჳა ნათესავისა; ევროპაში არის ერთი, აფრიკაში მეორე, აზიაში სხჳა, ამერიკაში კიდევ სხჳა, ლინეი რიცხავს სამოცდა ერთს ამის სახესა, სხჳანი თჳთქმის ოთხმოც სახემდინ (*), მკალიასა აქჳს სხეული მოგ-რძო, წინ განიერი, ბოლოს ვიწრო, და-ფარული ოთხის ფრთით, ზევითი ორი ფრთა მოვიწროო სწორე შეკრული მარა-ოს სახით. კისერი უნაგირის მსგავსად, თავი სქელი, პირს დაშჳებული, თჳალი მრგჳალი, დიდი, საწოვნელი ოთხი, ექჳსი ფეხი, რომელთაგანნი უკანანი მრიელ გრ-ძელი და სქელი კანჭები, რომელნიც არი-ან აშენებულნი სახტომად. (*)

ფრინჳა ამისი მრიელი, წარმოადგენს ხმაურობას მსგავსად უხმო განსეთქილობი-სა, მაგრამ მრავლობითში და სიშორით, ეს ემსგავსება ფოთლის შრიალს ტყეში მცირე ნიავის დროს.

მამალი ყოველთჳს მცირეა დედალზედ, აქჳს ფრთები უფრო გრძელი და პირჳელ შესედულობით განსხჳავდება სისქით უკა-ნის ბოლოთი, მაშინ როდესაც დედალს ეს შეუვიწროვდება და დაბოლოვდება ოთხის ცოტა გარედან მოხრილის გამჳეტელო-ბით მსგავსად ჩანგლისა.

მკალია გამოსცემს ხმაურობას ერთი ერთმანერთის კანჭებისა და ფრთების ხა-ხუნით (*), რომლითაც მოიხიდავს დედა-ლს. უკანასკნელნი, როგორც გვარწმუნებენ ბუნების მძიებელნი ხმიანობას არ წარმო-უდგენენ; მაგრამ რადგანაც ეს ყვირილს, ზარის კჳრასა და სხჳათა ხმაურობასა მოერიდება და მიჰხდევენ მამალთ ფეხის შრიალსა, მაშასადამე ჰსჩანს, რომ როგო-რც პირჳელსა, აგრეთვე მეორესა აქჳსთ

(*) წაიკით. მკალიაზედ და ამის გაწყჳეტის ღონისძი-ებაზედ 1825 წლის 2 მხარეზედ ათანასე სტოიკოვიჩისა.

(*) სახტომი მკალიასი 50, 50-გან თჳთქმის 200-მდინ.

(3), ნათესავს ტოროლასას, რომელიც არის სამხრეთის

ბიბლიოთეკა

მრიელ კარგი მსმენელობა. (4), ორღანო სმენისა აქვსთ ფრთებს ქვეშ ორთავ მხარეზედ, მესამე სუნთქმის ციცნათელის მირს უკანა ტანის პირველს სიმრგვლეს დასაწყისზედ. ეს ორღანო გამოჭსხნდება სადაფის სასობრივის გახსნილობაში, რომელშიაც მდგომარეობს მთელი სმენის ორღანოს ნაწილი.

პირველად ჰფიქრობდნენ, რომელ მკალი ღეჭავს საჭმელსა მსგავსად მცოხნავ-მჭამელთა პირუტყვთა, ამისთჳს, რომ ჭამის დროს ამას ჩამოჭსდის პირიდგან მოშავო ფურთხი (5) და ამასთანაც გამოსცემს სმაურობასა ყბებით, მაგრამ სწავლული ბურმეისტერი ანატომიურის გზით დაერწმუნა რომ ამ მწერს დასაღეჭი კუჭი სრულებით არა აქვს; წინააღმდეგ ამისა ეს იმიტომ არის ესეთი გაუმაძღარი, რომ სტომაქი ამისი მრიელ ჩქარა მოინელებს საჭმელსა. მკალიასა აქვს მრიელ გამჭრიასი თუალი და მზეზედ მეტადრე შუადღისას საჩქაროდ გადაფრინდება მდევნელთაგან. მოფრინავი მკალია ყოველთჳს ავა დიდის სიმაღლეს და იქიდამ ამოირჩევს თავისთჳს მარჯვე ალაგს დასაღამებლად და საშოვრათ, და არას დროს არ მოსხდარა რომ ეს დამდგარიყო ისეთს ალაგს სადაც არ არის ამისთჳს საჭმელი.

ჩუენი მკალია გაამრავლებს თავის ნათესავს წელიწადში ერთხელ, მაგრამ იმადგილებში სადაც მუდმისად ჰსცხოვრებს, გამრავლება ამისი მოჭსდება ორჯერ და სამჯერაც წელიწადში. ანგლიური მოგზაური შა მოგვთხრობს, როგორც თუალით მნახველი, რომ აფრიკის საკელმწიფოში ბორუნში (**1724** ჩღკდ წელში) მკალია გამოჩნდა მარტის ბოლოს, ნახევარს მაისს გადაფრინდა მეტიეის მინდორში კვერცხის დასადებათ და თიბათვეში ამ კვერცხიდან გამოვიდნენ ბარტყები, რომელმაც თავის მხრით დასდვა კვერცხი მომავალს წლისათჳს.

(განგრძელება იქნება შემდგომს ნუმერში.)

რუსეთის მხარეს და კავკასიაში, აქვს საგალობელი, მსგავსი მკალის ჟუჟუნისა, რომლითაც მიიზიდავს დედალს მწერისას. და შესჭამს მას.

(4). გვიამბობენ რომ ერთს დროს მკალია დაეცა ისეთს პურს, რომელიც ჯერ არ იყო მისგან წამხდარი; როდესაც მივიდნენ მომკალნი და დაუწყეს ღესვა ნამგალსა მაშინ ეს ავიდა ყანის ფოთლებზედ, რომ გაიგოს რისგან წარმოდგება ხმიანობა და როდეს დაუწყეს მკა გაფრინდა.

(5) ზოგან ამბობენ რომ ეს ფურთხი საშიშო არის აღმოცენებისათჳს, ეს გარემოება ღირსი არის ყურადღებისა განსინჯვისა.

Тифлисъ. Печатать позволяется. 15 Января 1862 года. Цен. Кантмазовъ. რედ. კერესელიძე.